ოქმი:**ო05. 3726040001**

თარიღი:**09/02/2026**

ოქმი N 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 26 იანვარი

ქ.ოზურგეთი

15:30 – 16:00-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ხომერიკი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ზ. სურგულაძე, ი. დობორჯგინიძე, ლ. კვაჭაძე, ქ. კვაჭანტირაძე, მ. ცქვიტინიძე, ტ. არუშიძე, გ. სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ამავ საკითხზე ვრცლად ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნულ დადგენილებას, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის არაუგვიანეს თებერვლის თვისა იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერიას დადგენილებაში ცვლილებების შეტანა არ აქვს დაგეგმილი. პროექტი წარმოდგენილია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, აკმაყოფილებს თვითმმართველობის ნორმატიული აქტის პროექტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და იგი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი